სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**პოლიტიკის მეცნიერება** Political Science
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი** Bachelor of Political Science
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	240 კრედიტი (ECTS) **საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 50 კრედიტი (ECTS):** ● 25 კრედიტი - საფაკულტეტო საბაზისო სავალდებულო კურსები ● 15 კრედიტი - სამი საფაკულტეტო შესავალი კურსი; ● 10 კრედიტი - ორი საფაკულტეტო არჩევითი კურსი; **ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 120 კრედიტი (ECTS):** ● 60 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები; ● 60 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები; **თავისუფალი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი (ECTS)** **დამატებითი სპეციალობის (minor) ან სხვა თავისუფალი სასწავლო კურსები - 60 კრედიტი (ECTS).**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**მალხაზ მაცაბერიძე -** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი **ალექსანდრე კუხიანიძე,** ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი; პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: - მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით;

	- საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს: ● მისცეს მრავალმხრივი და თეორიული ცოდნა პოლიტიკის მეცნიერებისა და მისი ცალკეული სუბ-დისციპლინების (პოლიტიკური თეორია, შედარებითი და საჯარო პოლიტიკა, მსოფლიო პოლიტიკა, პოლიტიკური კომუნიკაცია და მეთოდოლოგია) შესახებ; ● ჩამოუყალიბოს ისტორიული და თანამედროვე პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების ანალიზის უნარი; ● გამოუმუშაოს დარგობრივი საქმიანობის უნარი ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით; ● ჩამოუყალიბოს საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში ინდივიდუალური ხედვა.
სწავლის შედეგები	**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:**
ა) ცოდნა და გაცნობიერება	● აღწერს პოლიტიკის მეცნიერებისა და მისი ძირითადი სუბ-დისციპლინების შესწავლის ობიექტებსა და განვითარების დინამიკას; ● ადარებს და აპირისპირებს პოლიტიკის მეცნიერების ძირითად ცნებებს, თეორიებსა და მოდელებს; ● გამოკვეთს პოლიტიკის მეცნიერების თეორიის ძირითად იდეებსა და პრობლემატიკას;
ბ) უნარები	● პოლიტიკის მეცნიერებაში შერჩეული კვლევის მეთოდოლოგიისა და დიზაინის გამოყენებით, აგროვებს, აორგანიზებს და ხსნის მეორეულ ინფორმაციას; ● აანალიზებს საქართველოსა და მსოფლიოს პოლიტიკური სისტემების განვითარების კანონზომიერებებსა და პოლიტიკური იდეოლოგიების მახასიათებლებს; ● უკავშირებს პოლიტიკური მოძღვრებების ისტორიის საკითხებს თანამედროვე საჯარო პოლიტიკური პროცესის გამოწვევებს; ● პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების განხილვისას, ამოიცნობს პოლიტიკური კომუნიკაციის საშუალებებს;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	● მითითების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ამზადებს აკადემიური დარგის შესაბამის პრაქტიკულ და კვლევით ნაშრომებს;

	• ასახელებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს; • გეგმავს სამომავლო პროფესიულ საქმიანობას სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ვერბალური (დიალოგი, ინტერაქცია); დემონსტრირების მეთოდი; ჯგუფური მუშაობის მეთოდი; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; შემთხვევის შესწავლა (case study); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაში; ელექტრონული სწავლების მეთოდები.
შეფასების სისტემა	დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **ა)** (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **გ)** (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **დ)** (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ე)** (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:** **ვ)** (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; **ზ)** (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. *დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.* შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

	დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ფორმები და ქულები:** საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და ბაკალავრს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა. ● **პირველი რეცენზენტის შეფასება** - 30 ქულა ● **მეორე რეცენზენტის შეფასება** - 30 ქულა ● **ზეპირი წარდგენა** - 40 ქულა **ზეპირ წარდგენაზე** სტუდენტს ორი რეცენზენტის შეფასების შემდეგ დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 ქულისა. **ზეპირ წარდგენაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20** ქულა. **შეფასების კრიტერიუმები:** **რეცენზენტის შეფასება - 30 ქულა:** ● თემის სიახლე და აქტუალურობა - 5 ქულა ● კვლევის მეთოდოლოგია და დიზაინი - 5 ქულა ● ლიტერატურის მიმოხილვა, თეორიული და ფაქტობრივი მასალის ფლობა - 5 ქულა ● ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნის გამართულობა - 10 ქულა ● ნაშრომის გაფორმება და ენობრივი მხარე - 5 ქულა **საბაკალავრო ნაშრომის ზეპირი გზით წარდგენა** ფასდება საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის კომისიის წევრების მიერ, მაქსიმალური შეფასება **- 40 ქულა:** **ა) ნაშრომის შეფასება - 20 ქულა** ● კვლევის მეთოდოლოგია და დიზაინი - 5 ქულა; ● ლიტერატურის მიმოხილვა, თეორიული და ფაქტობრივი მასალის ცოდნა - 5 ქულა; ● ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნის გამართულობა - 10 ქულა.

	ბ) საპრეზენტაციო მოხსენების შეფასება - 20 ქულა ● საპრეზენტაციო მოხსენების შესაბამისობა ნაშრომის შინაარსთან - 5 ქულა; ● საპრეზენტაციო მოხსენების ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობა – 5 ქულა; ● საპრეზენტაციო მასალის გაფორმება - 5 ქულა; ● საპრეზენტაციო მოხსენების სტილი და აუდიტორიასთან კომუნიკაცია - 5 ქულა.
დასაქმების სფეროები	● საჯარო სექტორი (როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი დონის დაწესებულებები); ● კერძო სექტორი; ● არასამთავრობო ორგანიზაციები; ● საერთაშორისო ორგანიზაციები; ● კვლევითი ცენტრები; ● პოლიტიკური პარტიები.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	ბაკალავრიატის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების და ასევე სხვა მიმართულების პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები, მოწვეული პედაგოგები, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალი. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** ● თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; ● თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; ● სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); ● ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library ● თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/

	• თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus დასხვა.https://www.tsu.ge/ka/library/page/893 • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი; იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება და/ან სტატუსის შეწყვეტა. საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით ნაშრომის დაცვამდე ბაკალავრი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, მის პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/ .
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ოთხ საბაკალავრო პროგრამაზე (პოლიტიკის მეცნიერება; სოციოლოგია; სოციალური მუშაობა; საზოგადოებრივი გეოგრაფია) სტუდენტთა ჩარიცხვა/მიღება ხდება ერთიანი სიით.

	პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამას ერთიანი სიით ჩარიცხული სტუდენტებიდან ყოველწლიურად ირჩევს საშუალოდ 150-მდე სტუდენტი. მოცემულმა საგანმანათლებლო პროგრამამ ბოლო აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს. თავდაპირველად, ის მომზადდა უცხოელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI), უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP), აკადემიური სტიპენდიების პროგრამის (AFP) საერთაშორისო კონსულტანტები: სტივენ ინგლი (სტირლინგის უნივერსიტეტის პოლიტიკის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად ემერიტუს-პროფესორი (დიდი ბრიტანეთი), სტივენ არისი, (კარლეტონის უნივერსიტეტის პროფესორი, კანადა) დაპიტერვანჰიუტენი (კემბრიჯის უნივერსიტეტი, პოლიტიკის დოქტორი). წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგრძელებს ტრადიციას და მისი მისიაა მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარის მქონე აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს თემის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაში. თსუ–ს ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის ბაზაზე შეიძინონ დამატებითი (minor) სპეციალობა, რისთვისაც მათ მოუწევთ დააგროვონ 60 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების საფუძველზე (იხ. დანართი №1)

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკულ მეცნიერებათა

მიმართულება: პოლიტიკის მეცნიერება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: პოლიტიკის მეცნიერება

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: მალხაზ მაცაბერიძე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ალექსანდრე კუხიანიძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29/07/2021; № 69/2021

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2021-2022

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო სასწავლო კურსები - 50 კრედიტი (ECTS) მათ შორის:												
საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (ECTS)												
№	კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	სულ	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
				ლექცია	სემინარი/პრაქტიკუმი	გამოცდები, შუალედური/დასკვნითი				შემოდგომა	გაზაფხული	

1		სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები[1]	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნინო დურგლიშვილი თეონა მატარაძე ნათელა დონაძე მარინა ბურძენიძე შორენა თურქიაშვილი თამარ ქარაია დავით სიჭინავა მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი
2		ინგლისური ენა 1 (A 1.1; A 2.1; B 1.1; B 2.1;)	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის პედაგოგი
3		სტატისტიკა	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ომარ ფურთუხია პეტრე ბაბილუა მზევინარ ფაცაცია სიმონ ელოშვილი ნორა კეკელია ალექსანდრე ტყეშელაშვილი მიმოზა ტყებუჩავა ქეთევან მანჯგალაძე
4		აკადემიური წერა	5	15	15	0	95	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თამარ ვეფხვაძე ნათია სვანიძე ლელა წიქარიშვილი თინათინ მაჭარაშვილი მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი მარიამ კვერღელაძე

[1] სასწავლო კურსის არჩევა მე-2 სემესტრიდან.

5		ინგლისური ენა 2 (A 1.2; A 2.2; B 1.2; B 2.2)	5	30	30	5	60	125	ინგლისური ენა 1		✓	ენების ცენტრის პედაგოგი
საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - მინიმუმ 10 კრედიტი (ECTS)												
1		გამოყენებითი ეკონომიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ჯამლეტ ჯანჯღავა
2		კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გუგული მაღრაძე ლაშა ტუღუში
3		ლოგიკა	5	30	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მოწვეული ლექტორი
4		ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია	5	30	0	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	კოსტანტინე შუბითიძე
5		მეტყველების კულტურა (არაჟურნალისტებისთვის)	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იური ფოფხაძე ნინო გელოვანი
6		ფილოსოფიის საფუძვლები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ვალერიან რამიშვილი
7		საზოგადოებრივი განვითარება და ბუნებრივი გარემო	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ვალერიან მელიქიძე
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი სასწავლო კურსები - მინიმუმ 15 კრედიტი (ECTS) (სტუდენტებს ევალებათ 3 საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსის გავლა)												
1		სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	2	93	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გიორგი წოწკოლაური ზურაბ ტატანაშვილი მაგული შაღაშვილი
2		საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თამარ დოლბაია იოსებ სალუქვაძე გიორგი კვინიკაძე
3		სოციოლოგიის შესავალი	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ამირან ბერძენიშვილი იაგო კაჭკაჭიშვილი კახა ქეცბაია შორენა თურქიაშვილი
4		საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	30	15	6	74	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ზურაბ დავითაშვილი თორნიკე თურმანიძე

												ფიქრია ასანიშვილი სერგი კაპანაძე კოსტანტინე შუბითიძე
5		ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 60 ECTS												
1		პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სალომე დუნდუა მალხაზ მაცაბერიძე ზვიად აბაშიძე კორნელი კაკაჩია ვლადიმერ ნაფეტვარიძე ელენე გელაშვილი სანდრო ტაბატაძე
2		შედარებითი პოლიტიკა	5	15	30	5	75	125	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	✓	✓	ზვიად აბაშიძე
3		მსოფლიო პოლიტიკა	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	კორნელი კაკაჩია
4		პოლიტიკური კომუნიკაცია	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მალხაზ მაცაბერიძე გიორგი მელიქიძე ირინე ჭუმბურიძე
5		პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია (ანტიკურობიდან ახალ დრომდე)	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სალომე დუნდუა სანდრო ტაბატაძე
6		საჯარო პოლიტიკა	5	30	15	5	75	125	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	✓	✓	გიორგი მელიქიძე

7		საქართველოს პოლიტიკური სისტემა	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მალხაზ მაცაბერიძე ლია თეთრაძე ეკა დარბაიძე
8		პოლიტიკური იდეოლოგიები	5	15	30	5	75	125	პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია (ანტიკურობიდან ახალ დრომდე)	✓	✓	სალომე დუნდუა კორნელი კაკაჩია
9		პოლიტიკის კვლევის მეთოდები[2]	5	15	30	5	75	125	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	✓	✓	თამარ ქარაია
10		საბაკალავრო კვლევის დიზაინი	5	15	15	0	95	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თამარ ქარაია გიორგი მელიქიძე
11		საბაკალავრო ნაშრომი პოლიტიკის მეცნიერებაში	10	15			235	250	სავალდებულო კურსები	✓	✓	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 60 ECTS												
პოლიტიკური თეორია												
12		პოლიტიკური თეორიის ძირითადი პრობლემები	5	15	30	5	75	125	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	✓	✓	ზვიად აბაშიძე
13		პოლიტიკური ანთროპოლოგია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		სალომე დუნდუა

[2]მოცემული სასწავლო კურსი განკუთვნილია მე-5 და შემდგომი სემესტრის სტუდენტებისთვის.

14		პოლიტიკური მეცნიერების ისტორია	5	15	30	7	73	125	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	✓		მალხაზ მაცაბერიძე ელენე გელაშვილი
15		ახალი დროის პოლიტიკური მოძღვრებები	5	30	15	5	75	125	პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია (ანტიკურობიდან ახალ დრომდე)		✓	სალომე დუნდუა სანდრო ტაბატაძე
16		შესავალი ნაციონალიზმის კვლევებში	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	დავით მაცაბერიძე ირაკლი ჩხაიძე ნინო მაისურაძე
17		ქართული პოლიტიკური აზრი	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	მალხაზ მაცაბერიძე ნათია ზედგინიძე
18		საბჭოთა კავშირი: პოლიტიკა და იდეოლოგია	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		მალხაზ მაცაბერიძე თამარ ორჯონიკიძე
19		ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები	5	30	15	5	75	125	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი		✓	გიორგი მელიქიძე
20		დემოკრატიზაცია და ტრანზაცია	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გია ჟორჟოლიანი
21		ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური კონცეფცია	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		მალხაზ მაცაბერიძე ნათია ზედგინიძე
შედარებითი პოლიტიკა, რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა												
22		შედარებითი პოლიტიკა: ინსტიტუციური ანალიზი	5	15	30	5	75	125	შედარებითი პოლიტიკა	✓		გია ჟორჟოლიანი
23		შედარებითი პარტიული პოლიტიკა და პარტიული სისტემები	5	30	15	5	75	125	შედარებითი პოლიტიკა	✓		კორნელი კაკაჩია

24		ახლო აღმოსავლეთის შედარებითი პოლიტიკა	5	15	30	5	75	125	შედარებითი პოლიტიკა		✓	ალექსანდრე წურწუმია
25		ლათინური ამერიკის შედარებით პოლიტიკა	5	15	30	5	75	125	შედარებითი პოლიტიკა	✓		ალექსანდრე წურწუმია
26		კავკასიის შედარებითი პოლიტიკა	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	მალხაზ მაცაბერიძე თინათინ ცხოვრებაძე ლევან ლორთქიფანიძე ლიკა თეთრაძე
27		მართვა-გამგეობა და პოლიტიკა ცენტრალურ და აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ქვეყნებში	5	15	30	5	75	125	შედარებითი პოლიტიკა		✓	ზვიად აბაშიძე
28		გეოპოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა	5	15	30	5	75	125	მსოფლიო პოლიტიკა	✓		ალექსანდრე წურწუმია
29		გლობალიზაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ავთანდილ ტუკვაძე კორნელი კაკაჩია
30		მსოფლიო მეოცე საუკუნეში	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	მალხაზ მაცაბერიძე, თამარ ორჯონიკიძე
31		იდენტობა და პოლიტიკა	5	15	30	5	75	125	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	✓		დავით მაცაბერიძე ნინო მაისურაძე
32		პოლიტიკა და ძალადობა	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	მალხაზ მაცაბერიძე სანდრო ტაბატაძე
საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება												
33		საჯარო პოლიტიკის ანალიზი	5	15	15	6	89	125	საჯარო პოლიტიკა		✓	გიორგი მელიქიძე

34		საჯარო ადმინისტრირების თეორია და პრაქტიკა	5	15	15	6	89	125	საჯარო პოლიტიკა	✓		გიორგი მელიქიძე
35		ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა	5	15	30	5	75	125	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი		✓	ვალერიან დოლიძე გიორგი მელიქიძე
36		პოლიტიკური კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	ალექსანდრე კუხიანიძე
37		სოციალური დაცვის პოლიტიკა და ისტორია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ჯაბა ურუტაძე
სამოქალაქო განათლება და აქტივიზმი												
38		დემოკრატია და მოქალაქეობა	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	თამარ ქარაია ეკა დარბაიძე
39		ადამიანის უფლებები პოლიტიკის კონტექსტში	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		მალხაზ მაცაბერიძე თინათინ ცხოვრებაძე ლადო ნაფეტვარიძე
40		არჩევნები და საზოგადოება	5	15	30	5	75	125	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	✓		ვალერიან დოლიძე
41		გენდერი პოლიტიკურ კონტექსტში	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ეკა დარბაიძე
42		პოლიტიკა, მედია და საზოგადოებრივი აზრი	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	მალხაზ მაცაბერიძე ნინო აბზიანიძე გიორგი მელიქიძე ირინე ჭუმბურიძე
43		პოლიტიკური კულტურა	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ავთანდილ ტუკვაძე

44		სამოქალაქო საზოგადოება	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	მალხაზ მაცაბერიძე ეკა დარბაიძე გია ჟორჟოლიანი თინა ცხოვრებაძე
45		დარგობრივი ინგლისური ენა	5	15	30	6	74	125	ინგლისური ენა 2	✓		ნინო აბზიანიძე
თავისუფალი კრედიტები - 10 ECTS												

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №1

პოლიტიკის მეცნიერების დამატებითი (minor) პროგრამის სტრუქტურა

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო დამატებითი (minor) პროგრამის კრედიტები – 60 ECTS მათ შორის:												
სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 ECTS												
N	**კოდი**	**სასწავლო კურსის სახელწოდება**	**ECTS**	**სტუდენტის საათობრივი დატვირთვა**					**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი / ლექტორები**
				ლექცია	**სემინარი**	**გამოცდა**	**დამოუკიდებელი მუშაობა**	**სულ**		**შემოდგომის**	**გაზაფხულის**	
1		პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სალომე დუნდუა მალხაზ მაცაბერიძე ზვიად აბაშიძე კორნელი კაკაჩია ვლადიმერ ნაფეტვარიძე ელენე გელაშვილი სანდრო ტაბატაძე
2		შედარებითი პოლიტიკა	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ზვიად აბაშიძე
3		მსოფლიო პოლიტიკა	5	30	15	5	75	125	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	✓	✓	კორნელი კაკაჩია
4		პოლიტიკური კომუნიკაცია	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მალხაზ მაცაბერიძე გიორგი მელიქიძე ირინე ჭუმბურიძე

5		საქართველოს პოლიტიკური სისტემა	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მალხაზ მაცაბერიძე ლია თეთრაძე ეკა დარბაიძე
6		პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია (ანტიკურობიდან ახალ დრომდე)	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სალომე დუნდუა სანდრო ტაბატაძე
7		საჯარო პოლიტიკა	5	30	15	5	75	125	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	✓	✓	გიორგი მელიქიძე
არჩევითი სასწავლო კურსები პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი საბაკალავრო პროგრამიდან - 25 ECTS												

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა ——————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————————

თარიღი——————————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი